თანამშრომლობის მემორანდუმი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ

2023 წლის 5 ოქტომბერს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით და საქართველოს პროკურატურის ორგანიზებით, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ, ახალი მემორანდუმი გაფორმდა. საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული, ერთიანი სტატისტიკის წარმოების მიზნით, თანამშრომლობის მემორანდუმს ხელი პირველად 2020 წელს მოეწერა. ახალი მემორანდუმის გაფორმება „სპეციალური საგამოძებო სამსახურის“ შესახებ საქართველოს კანონში განხორციელებულმა ცვლილებამ განაპირობა, რომლის მიხედვითაც სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო მანდატი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე გავრცელდა.

საქართველოს პროკურატურას, უზენაეს სასამართლოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურსა და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის გაფორმებული განახლებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად, ყოველწლიურად, არა უგვიანეს 1 მარტისა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე ქვეყნდება წინა წლის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ერთიანი სტატისტიკური ანგარიში.

თანამშრომლობის მემორანდუმი და სტატისტიკური ანგარიშები ხელმისაწვდომია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/680/diskriminatsiis-nishnit-sheutsqnareblobis-motivit-chadenili-danashaulis-statistika;